



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 85

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
25.11.2024

85-06-4-202411251710



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავით
ლორიაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს სამხოს ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 15 ნოემბრის №150 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავით ლორიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

დავითი ლორიაშვილი – 3000 (სამი ათასი) ლარი, პ/ნ

ბადრი ბედიანაშვილი – 1500 (ათას ხუთასი) ლარი, პ/ნ

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

